ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—შემოდგომა,—ლექსი, შ. მღვიმელისა..... 3

II—გულკეთილი ლოკოკინა,—თ. რაზიკაშვილისა..... 5

III—ნამდვილი სიკეთე,—(თარგმანი) თ. ბაქრაძისა.....12

IV—ლოთი ფრინველები,—(კ. შინკეს წერილიდან), შხეფეფლისა ... .16

V—ვირის თავგადასავალი.—XXI პატარა ბიჩა ცხენი,—(ფრანგულით) ან. ამილახვრისა 14

VI—ცარცი,—(ვაგნერიდან), დ. ეიფეანისა.....22

VII—რებუსი და აღსნა..... 24

წელიწადი მე-V. № 20 ოქტომბერი 1909 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—შემოდგომა,—ლექსი, შ. მდივანელისა 3

II—გულკეთილი ლოკოკინა,—თ. რაზიკაშვილისა 5

III—ნამდვილი სიკეთე,—(თარგმანი) თ. ბაქრაძისა 12

IV—ლოთი ფრინველები,—(კ. შინკეს წერილიდან), შხეფელისა 16

V—ვირის თავგადასავალი.—XXI პატარა ბაჩა ცხენი,—(ფრანგულით) ნ. ანილასვრისა 14

VI—ცარცი,—(ვაგნერიდან), დ. ყიფიანისა 22

VII—რებუსი და აღსნა 24



ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა

აგვიდგა შემოდგომა,
ბესწედა ფოთოლთ შრიალი;
წეალმა უმატა შეილს,
წეარომ მოსპო ჩქრიალი.

ტორროლა აღარსად სჩანს,
აღარც ჭეკჭეკებს მწეერი,
დაგვიობლდა მინდორი,
გაეგითლდა ეველაფერი.

მთებმა შემოიხვიეს
ლეგა ღრუბლის ჩალმები,
გადმოსძახეს ბარელებს:
„ამოისხით ქალმები!

ცა მოკამკამებული
რთვილს უქადის ველსაო,
აბა, რალას უეურებთ,
არ აბირობთ რთველსაო?!

ნუ წაახდენთ ზედაშის
დედას ძალის ძალათა,
ბოამზადეთ გოდრები,
დანები და კალათა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბალღებო, მოიტანეთ
თქვენაც წამოსაკიდი,
ასჯერთ აკიდოები,
სხვენში ჩამოსაკიდი.

რაცა ხანია ციოვმა
ბლომად შეზიდა თხილი,
საზამთროდ აკუჭნავებს
დამზოგველი და ფრთხილი.

არც თუ თაგვები იყვნენ
გულ-ხელ დაკრეფილები,
კარგა ძალი მობოჭეს
კაკლები და თხილები“...

ასე გადმოსძახოდენ
ძალალი მოები ბარსა
და გაჰქონდა გრიალი
შემოდგომის ცივ ქარსა.

შ. მღვიმელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულკეთილი ლოკოკინა

ალცხა. რქიანი ლეგო ლოკოკინა შეიკეტა თავის ციხე-დარბაზში, ამოიქოლა კარები და ვანსვენებას მისცა თავი. თავს უშიშრად გრძნობს ჩვენი გმირი, თუმცა მტერი ათასობითა ჰყავს. აი, თუნდა წრუწუნა,—რამდენი უარა, სუნა, კბილითა ჭხრა, გადაა-გორ-გადმოაგორა, მაგრამ ვერაფერს გამორჩა და გაანება თავი. მუცელ ტიტველა ეიეინამაც მოჭხვია თათები, მოუჭირა კბილები, ჩაეო შიგ თავისი გრძელი ენა, მაინც ვერა ისუსნა-რა. ორიოდე დიდი ნერწყვი ჩაჭყლაპა და ხელ-ცარიელი მოშორდა.

— ჭაი, თუ კარში მოგასწრობ, შე თხუპნია შენა! შე წირპლიანო, მუდამ რომ დუჟი გდის, შემძვრალხარ კირის ციხეში, დაგიკეტია კარები! ნეტა შემეძლოს აგიტანო ჭაერში, დაგანარცხო იქიდან დიდ ქვაზედ და დაგამსხვრიო! მაშინაც დაიმალები?!

ბევრიც რომ ეთქვა საწყინო, რქიანი ბიჭი არც ისე სულელი იყო, ამისთანა ბრიყვის ლაპარაკისთვის ყური ეგდო, ან საჩხუბრად გამოსულიყო და თავი საფრთხეში ჩაეგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იეიეინე, რამდენიც გნებავდეს, ვირისაგან წაიღებ ეტკინება. ნუ სცდები, თქვენებს ქორწილი აქვთ, გეძახიან. გნებავს კი გამოვიდე და გადამსანსლო?! გაწბილებული ეიეინა წამოჯდა იქვე, სოვლემდა, თვალებს უგემურად ჭსუჭავდა, ხან და ხან კი ლოკოკინასკენ გადიხედავდა,—ხომ არ გაბრიუვდა და კარში არ გამოვიდაო. მაგრამ ლოკოკინას რომ ჩიტებისა, ბაეაეისა და სხვა მტრებისაც არა ჭშინებოდა, მაინც ამ სიცხეჰაჰანაქებაში რა გამოიეანდა კარში!

— რა გიჟი ვარ, ამ ცხრა თვალმზეში კარში ვეტრუჭო. რწეილიც კი ვერსად დაიმალება და, აბა, მე რომ გამოვჩნდე, მგონი იმდენი მტერი დამესიოს, ვერცა-კი დავთვალო. ვის არ უეკარს ჩემი რბილი, უძვლო ხორცი, მერე მე რომ გაქცევა ვიცი!

ღმერთმა დალოცოს ბნელი, ნამიანი ღამე. ისე დავსრიალებ ნამიან ბალახებზედ, როგორც თევზი წყალში. რა გემრიელია დანამულ ბალახისა, მეტადრე კომბოსტოსი, სალათასი და ჭარხლის ფოთლები!

დაიძინა და, სანამ მზე არ ჩავიდა და სანამ ლოკოკინას ციხე ღამის ნამმა არ გააცია და ლოკოკინას ზურგში არ ულიტინა, აღარ გამოჭღვიძებია.

—

დაღამდა. ლოკოკინას თვალების დამწველი მზე ქვეყნის მეორე მხარეს მოეფარა. ჭაერში სიგრილე ჩამოვარდა. ფოთლები, ბალახები, საგნები დაინამა. ლოკოკინას ბუდეც გაგრილდა და შიგ მჯდომმაც კარში მდგომი სინესტე და სიგრილე თავის ნაზის კანით იგრძნო, გამოიღვიძა და კარში გამოსასვლელად მოემზადა. ბნელი ციხიდან ჯერ ერთი რქა გამოჭეო. აქეთ-იქით ატრიალებდა, მაღლა იღებდა, ძირსა ჭხრიდა, თითქო რაღასაც სინჯავსო, ერთი ბეწვა ხმაურობაზედ უცებ კრუნჩხავდა და სადღაც ჭმალავდა. მერე მეორეც მოაეო-

ლა და თან თავიც სანახევროდ გამოაჩინა; ამ რქებზე-ზედ რგვალი შავი წერტილებივით ჰქონდა რაღაცა, ეს იმისი თვალები იყო. კარში ბნელოდა. მხოლოდ ცაზედ ცეცხლის მოციმციმე ნაპერწკლებივით ვარსკვლავები მოფენილიყო. უჰ, რამდენი იყო, ვინ დასთვლიდა! ზოგი სხვილი, ზოგი წვრილი. დარი კარგი იდგა და მხიარულად იყვნენ. საშიშოკი არა სჩანდა რა. მხოლოდ შორიდან ბაყაყების გაუთავებელი ყიყინი ისმოდა. ეტყობოდა, ძალიან მხიარულად იყვნენ და ხალხმრავლად. ამ ყიყინს რაღა თავს გაართმევდა ბულბულის ტკბილი გალობა. კალიებიც იჭაჭებოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ.

ლოკოკინა გამოძვრა თავის ციხიდან, მაგრამ იქვე კი არ გაანება თავი. ზურგით ღობის ქვეშიდან გამოიტანა და მწვანილების კვალში დააგორა. სახლის ახლო ეოფნა საჭირო იყო,—ხიფათის დროს ადვილად მოასწრობდა შიგ დამალვას და, აბა, ღობეს ქვეშ რომ გაეშვა კი, სანამ იქ მივიდოდა, მტერი უკვე ხელთ იგდებდა.

საჭმელი ბევრი იყო. მწვანილის კვლები სავსე ჩანდა ქორფა სალათითა და ჭარხლის ტკბილ ფოთლებით. მიდიოდა, უფრო კი მიფორთხავდა რქიანი ბიჭი და თან გზას დუქით ჰფენდა, ალბად ეშინოდა, უკან დასაბრუნი გზა არ შეშლოდა და ადვილადაც ეხოხნა ლიპ გზაზედ. მეორე დღეს იმისი ნავალი მზეს გაეშრო და ვერცხლივით ბრჭყვინავდა.

იმ ღამეს ძალიან დრო გაატარა, ხელის შემშლელი არავინა ჰყვანდა. თუ გაიჩუჩუნებდა რამე, მაშინვე იბღუნძებოდა და დასორსლილ ტალახის გუნდას უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე ცოცხალ არსებასა. შიშის ქარი რომ გაუვლიდა, ისევ ნელ-ნელა იშლებოდა და იწყებდა ქორფა ფოთლების სიხნას.

მთელი ღამე ერთი ფოთლიდან მეორეზედ გადადიოდა, შიგ ქუჩში უძვრებოდა თავშესვეულ სალათას და კომბოსტოს თავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენდა. დარი იყო, ცხელი დღე დგებოდა. ლოკოკინაც გაძღა, სინათლემაც შეაშინა და თავის ციხისაკენ გასწია. ეჩქარება ძალიან: მზეში გზა გაშრება და, ვითომ თევზი უწყლოდ დარჩომილა, მოჰკლავს სიხმო.

მზემ ნამი უკვე სანახევროდ ააშრო, როცა ლოკოკინა თავის ციხე-ქალაქთან მიფოფხდა.

— ოჰ! ოჰ! რა ცხელა. რა ძალიან დავიღალე, გული შემიღონდა, ლამის სისხლი თავში ამივარდეს! შენ გენაცვალე, ჩემო ბაბილონის გოდოლო! აბა, როგორა ხარ? მადლობა ღმერთს, რომ მთელი და უვნებელი დამხვდი! ლოკოკინა აიყაყვა, კისერი წაძაგრა, რქები აფშიკა და ის იყო უნდა თავი შაეყო კარებში, რომ უცებ ლოკოკინას ბუდე შეინძრა, ტოკვა იწყო.

ლოკოკინა შიშით მოიკრუნჩხა, რქები კისერში ჩაიმვრინა და თავი მხრებში; აქამდე გძლად გაჭიმული, ახლა ტალახის ბურთს დაემსგავსა. დაბრმავდა და დაერუვდა, სუნგალი გაწყვიტა, გატვრინდა, სული განაბა. ოთველ წამს თავდასხმას ელოდა; ნამდვილად ეიღაცა ზის ციხეში, უთუოდ ჩემს მოსვლას ელოდაო. თან მზეც აცხუნებდა, ზურგს უშრობდა, გულს უღონებდა; ჰირში ნერწყვი გაუშრა. ასე ელოდა რამდენსამე ხანსა. ბოლოს, რაკი სიცხემ საქმე გაუჭირა, გაბედა თვალის გახელა,—ჯერ ერთი რქა გამოჰყო და ცალი თვალით გადაჰხედა ნიკარას, იქიდანაც ამ დროს ორი შავი ულვაში გამოჩნდა, ლოკოკინა კანკალმა აიტანა. ორი ულვაში თან და თან დაგძელდა და ორი ფეხიც გამოჩნდა.

— ვინა ხარ? რა სულიერი ხარ? ვინ შესულხარ ჩემ სახლში და აღარ მანებებ ჩემ საკუთრებას? ვინა ხარ? მოკვეთე თუ გზა არეული მგზავრი, ან ჩემ შესაჭმელად მოსული მტერი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდი, დამიცალე, რომ სიცხეს თავი გადავარჩინო. ძალ-ლამის დამწვას და შენ შესულხარ და მანდ მოგიკალათნია. ვინა ხარ? წრიპინებდა გულ-გახეთქილი ლოკოკინა.

ორ ულვაშაც ეტეობოდა ქოშიმანში იეო. თუმცა ხმა სა-ზარელის მხეცისას არა ჰგვანდა, მაინც სახლის პატრონის დაუკითხავად შესული უხერხულად ჰგრძნობდა თავსა. ლოკო-კინამ გაათავა თუ არა ეკირილი, ულვაშების პატრონიც მოჰყვა და ნიკარიდან გადმოხტა შავი შავ-ჩოხა ბიჭი, შავად მორთულ შავი ცხენითა.

ლოკოკინას წინ გამოიჭიმა და ბოდიშის მოხდა იწყო.

„უკაცრავად, მეზობელო, რომ შეგაწუხე, არ ვიცოდი, თუ თქვენი სახლი იეო. მე ცარიელი და თავმინებებული მეგონა. იმიტომ გავკადნიერდი და დროებით შიგ თავი მევაფარე. ვინ აგიშენა, რაინდო, ეს ამისთანა ციხე-ქალაქი? უეჭველია, მამა-პაპათაგან დაგრჩებოდა სამკვიდროდ? ნეტავი შენ, რომ ამის-თანა მიუვალი ციხე-სიმაგრე გაქვს. შენ აქ მტერი რას დაგაკ-ლებს, შეხვალ, დაჰკეტავ კარებს, მერე, რამდენიც უნდა კბილე-ბი იმტვრიონ, რას დაგაკლებენ!

„ნუ დამძრახავ, ჩემო კარგო! ხომ იცი, გაუჭირებლად კაცი კაცს არ შეაწუხებს. მოგეხსენება, სული ტკბილია და ყველას ცხოვრება გვინდა. შენ, ჩემო ძმაო, თუ ღამე გამოდიხარ სა-შოვარზე, სამაგიეროდ ახლოვე მაგისთანა სიმაგრე გაქვს, სა-დაც გაჭირვების დროს თავს შეაფარებ. მე-კი ღამეც და დღეც მუდამ წამს საფრთხე მომელის, ადვილად ჩავვარდები მტრის ხელში. აი, დილას აქ მწვანილებში დავსტოდი და საზრდოს ვეძებდი. თან ჩემ სიმღერას ვამბობდი და ქვეყანას ვართობდი.

უდარდელი კაცი ვარ, მიყვარს ცის ქვეშეთი, დღე და მზის შუქზედ ეოფნა, ხტუნვა და მღერა. ამისთანა მშვენიერ ქვეყა-ნას უცქერდეს კაცი და მოიწყინოს? ვიხარეთ, სანამ ველი მწვანედ ღაღანებს, ტყეები ფოთლითა და ნაყოფით დატვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულა, სანამ ზამთარი არ მოსულა და სიცივეს ძვლებიც ... კრუნჩხავს. ჰო, იმას ვამბობდი:

უცებ ციდან შავი ღრუბელივით რაღაც წამოვიდა და სახვის კვალში ჩაეშვა. საწყალი სახვები შიშით და იმის სიმძიმით სულ მიწაზედ დაეგნენ. მე შიშით გული გამისკდა, ძლივს მოვასწარ ბალახებში გადახტომა. დაძინახა იმ წყეულმა და გამოძეკიდა.

აბა, სად დავემალებოდი, რომ ეს დალოცვილი შენი სახლი აქვე ახლო არ შემხვედროდა. ვეცი დაუკითხავად, შევედი შიგ და სულ უკანა კედელს მივეკარ. მოვიდა ის წყეულიც და დაიწყო შიგ ცალის თვალით ჭყეტა. ჰირში ერთი ჩემი გვარის კაცი ეჭირა. ისე ხელად სად მოასწრო და დაიჭირა იმ წყეულმა?!

საკოდავი კიდევ ანძრევდა ულვაშებს და ცალფეხსა ჰფშეკდა. ნისკარტით ეს ამოდენა ციხე-სიმაგრე ეირამალა გადმოატრიალა, ოთველ მხრიდან შინჯა, უკაკუნა და, რაკი ვერაფერი დააკლო, რაღაც წაიბურტყუნა და წავიდა.

კვლავაც მინახავს, შოშიას ეძახიან, დიდი მოსისხლე მტერია ჩვენის გვარისა. თავის შვილებს მომეტებულად ჩემისთანა მგალობელ ჭრიჭინებით ჰკვებავს და კალიებითა. ალბად თვითონაც იმიტომ გაშავებულა და საძაგელი გამხდარა. აბა, ერთი გენაცვალე, მიიხედ-მოიხედე, აქ ახლო-მახლო არსად იყვეს, გამოვმვრე, სახლი დაგიცალო, თორემ, როგორც ვატყობ, უქეიფოდა ხარ, როგორღაც სიცხიანსა გევხარ, თავის ანთება არ დაგემართოს“. საწყალს ლოკოკინას ჯერ სულ მზისგან სული კბილით ეჭირა, ისე გაეშრო და სული შაეხუთა, ახლა შოშიის ხსენებაზედ მთლად კანკალმა აიტანა, საცოდავად მოიბღუნმა, ხმა მიუწყდა.

— იყავ, რავქნა, თუ გეშინიან, რაც მომივა-მომივა, თუმცა ახლო-მახლო არავინა სჩანს, მაგრამ „ძმა ძმისთვისა ამ დღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვისაო“, უთქვამთ, უთხრა ხმა-მიკმენდილმა ლოკოკინამ და
ათან ფოთოლ ქვეშ მვრებოდა, რომ ტიტველი ზურგი მზის
სხივებისგან როგორმე დაეფარა.

— არა, ძმაო, სთქვა ჭრიჭინამ, შენ შენს თავს ჰირდა-
ჰირ ხიფათში აგდებ ჩემის გულისათვის და მე შენს სახლში
ვიჯდე? აქვე რომ ათი შოშია იყოს, მაინც გამოვალ. აბა,
გენაცვა, მიბმანდი ჩდილში, მე ისეც დიდი ამაგი დამდე და
ჰატივი მეცი.

და შავმა ბიჭმა თავის შავ ცხენს, შავ უნაგირიანს შავი
მათრახი გადაჰკრა და შავ ტყეს მისცა თავი. თან სამადლო-
ბელო ჩაწკრიალა.

თ. რაზიკაშვილი



ნამდვილი სიკეთე

(თარგმანი)

ბარას ცხოვრება ძალიან ცუდად მოეწყო. დედამამა დაეხოცა და უცხოთ შეეკედლა. სახლის პატრონები ძალიან უდიერად ეპყრობოდნენ, მშიერი და დაძონძილი ჰყავდათ. მთელ დღეს დაუსვენებლივ აქეთ-იქით დაათრევდნენ, უჯავრდებოდნენ, ხშირად უსადილოდ და უვახშმოდაც სტოვებდნენ.

შემოდგომა იდგა. რამდენიმე დღე გადაუღებლივ იწვიმა; საძაგელი დარი დაიჭირა. ცივდა, ცას ბირი ჩამოსტიროდა, ქუჩებში ლაფი იდგა. ბარას-კი ხან აქეთ უკრავდნენ თავს, ხან იქით. დაძონძილი ტანისამოსი დაუსველდა, დაფლეთილ ფეხსაცმელში წყალი შესდიოდა; იმ დღეს სადილი არ ეჭამა და ძალიან შიოდა; შიოდა, დაიღალა უბედური გოგო, და მწარედ დატანჯულის სახით გამოიყურებოდა.

ამ საშინელ ტალახში და გუბეებით სავსე ქუჩაში ბარა ეძებდა ისეთ ალაგს, რომ მეორე მხარეს გადასულიყო. და ამ ძებნაში ბარამ დაინახა ბჭეკრიალა ორშაურიანი, რომელიც ტალახში ეგდო. მაშინვე აიღო უზალთუნი სიცივისგან გალურჯებულ ხელით. „ოჰ, ნუ თუ ეს მართალია“? წაიბუტბუტა იმან.

ბარამ აიხედა და შეაჩერდა ბირდაბირ დუქანს, სადაც ნამცხვარს ჰყიდდნენ. ამ დროს დუქნის პატრონი, ჯანმრთელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხიარული და კეთილი სახის დედაკაცი ფანჯარაში [illegible] მომცხვარ კუპატებს აწყობდა.

სარას თავბრუ დაეხვა ფულის ჰოვნით და ამ ცხელ-ცხელ კუპატების დანახვით. მშვენიერი სუნი მოდიოდა დუქნიდან. გადავიდა მეორე მხარეს და მივიდა დუქანთან. მაგრამ რაღაც შენიშნა და შედგა. ეს იყო ჰატარა უფრო საცოდავი არსება, ვიდრე თვით სარა. ჰატარა არსება წარმოადგენდა ძონძების გროვას, რომლის ქვეშიდან მოჩანდა ტიტველი, დაწითლებული, ტალახიანი ფეხები, ზევით-კი უცნაური თავი თმა-აბურძგვნილი, ჭუჭეიანი სახით და დიდრონი ჩაცვინული თვალებით. სარამ დანახვის უმალ შეატყო, რომ მშიერი იყო. ეტყობა, იმას უფრო შიან—გაიფიქრა სარამ.

ჰატარამ შეხედა სარას და გზა მისცა.

სარამ ხელი მოუჭირა ორშაურიანს, ერთ წუთს შეყოყმანდა და მერე დაელაპარაკა ბავშვს.

— მშიერი ხარ?

ძონძები შეინძრა.

— მაშ, არა ვარ მშიერი?—მიუგო ხრინწიანის ხმით, მაშ, არა?

— სადილი არ გიჭამია?

— არც სადილი, არც საუზმე, არც ვახშამი.

— რამდენი ხანია?

— არ ვიცი, დღეს არავის არა მოუცია რა, თუმცა ბევრი ვთხოვე და ვემუდარე...

ამის ეურებაში სარას უფრო მოშივდა, უფრო დასუსტდა, მაგრამ მაინც უთხრა ჰატარა გლახას:

— ერთს წუთს აქ მოიცადე.

თითონ დუქანში შევიდა. რა თბილოდა! რა მშვენიერი სუნი იდგა! ქალმა კიდევ მოამზადა კუპატები ფანჯარაში დასაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეიდვა გინდა რისამე? ჰკითხა სარას, რომ დაინახა, რა დაშტერებით დაჰყურებდა კუპატებს.

— ოთხი კუპატი მიბოძეთ, გეთაყვა,—უთხრა სარამ.

ქალმა მაშინვე შეუხვია კუპატები.

სარამ შენიშნა, რომ ოთხის მაგივრად ექვსი შეახვია.

— მე ოთხი გთხოვეთ,—აუხსნა სარამ, ორი შაურის მეტი არა მაქვს...

— ეს ორი იმიტომ დავუმატე, რომ წონაში სწორედ მოვიდეს,—უთხრა ქალმა და ალერსიანად შეხედა სარას.

— მე მგონია, ექვსივეს შესჭამ. განა არა გშიან?

სარას ცრემლები მოერია თვალებში.

— დიაღ,—მიუგო სარამ,—ძალიანა მშიან და დიდი მადლობელიც გახლავართ სიკეთისთვის და... უნდა დაემატებინა: „გარეთ ჩემზე მშიერი სხვა ბავშვი დგასო“, მაგრამ ამ დროს რამდენიმე მეიდველი შემოვიდა; სარამ ხელმეორედ მადლობა გადაუხადა და გამოვიდა გარედ. ბავშვი ისევ იქ იჯდა.

საშინელი სანახავი იყო უბედური დასველებულ ძონძებში; გაშტერებული საცოდავად გამოიყურებოდა. დახეთქილ და გალურჯებულ ხელით ცრემლებს იწმენდდა და რაღაცას ბუტბუტებდა.

სარამ მაშინვე ამოიღო ერთი კუპატი.

— აჭა, უთხრა ბატარას, აი, ცხელი და გემრიელი კუპატი. შეჭამე, ცოტა მაინც გადაგივლის სიმშილი.

ბავშვი უცბად შეხტა და შეხედა სარას; მერე გამოსტაცა კუპატი და სარბად დაუწყო ჭამა.

სარამ სამი კუპატი კიდევ მისცა.

„ჩემზედ მშიერია,—იფიქრა, სიმშილით კვდება“. მეოთხე კუპატიც მისცა, თუმცა ხელი-კი აუკანკალდა.

„მე სიმშილით არა ვკვდები“, სთქვა სარამ და მეხუთეც მისცა.

ჰატარა დამშეული ისევ სარბად ჰკბეჩდა კუპატებს. სარა გაბრუნდა წასასვლელად. ბავშვმა მეტის სიხარბითა და სიმშილით მადლობაც ვერ გადაუხადა.

მეორე მხარეს რომ გადავიდა სარა, მოიხედა.

ჰატარას ორი კუპატი ეჭირა ხელში, აღარა სჭამდა, ლუკმით ჰირში სარას შესცქეროდა.

სარამ თავი დაუკრა, ჰატარამაც დაკვირვებით დაუწყო ცქერა და აბურძგვნილი თავი დაუქნია.

თ. ბაქრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოთი ფრინველები

(კ. შინკეს წერილიდან)

I

არტო ადამიანი არ ეტანება მაგარ სასმელებს. არიან ჰირუტევნიც, რომელთაც მეტის-მეტად მოსწონთ მათრობელი სასმელები.

ცნობილია, მაგალითად, რომ მაიმუნებსა და სპილოებს ძალიან უყვართ ლოთობა და გადაკრულები მეტად მხიარულ გუნებაზე დგებიან. რასაკვირველია, ჰირუტევთათვის ძნელია მაგარ სასმელების შოვნა, და სწორედ ამიტომაა, რომ ლოთ ცხოველებს ხშირად ვერ ვამჩნევთ.

განსაკუთრებით დათვს უყვარს მაგარი სასმელები. დათუნას უფრო არაფი მოსწონს და შემთხვევა რომ მიეცეს, რამდენსამე ბოთლს თავისუფლად გადაჰკრავს და შეზარხოშებული მხიარულ გუნებაზე დადგება.

ცხვრებსა და თხებსაც უყვართ მაგარი სასმელები. ეურმნის წვენს სიამოვნებითა სვამენ და აღტაცებაში მოდიან, ცოცხლდებიან და ხტუნაობენ, როგორც ცოფიანები. ძაღლებიც მეტის მეტი მოყვარულნი არიან ლუდისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ფრინველებშიაც ბევრია მაგარ სასმელების მოყვარული. თუ ხშირად ვერ ვამჩნევთ ლოთ ფრინველებს, მიზეზი ისაა, რომ მათი თვალეურის გდება ადამიანისთვის ადვილი არ არის.

მაგარ სასმელების მოყვარული ფრინველები, განსაკუთრებით შინაური წვრილ-ფესი, ერთხელ რომ იგემებენ ასეთ სასმელების გემოს, შემდეგ „ბეჯითად“ ცდილობენ მეორედ კიდევ დათვრნენ და, თუ სურვილი ვერ აისრულეს და ვერ დათვრნენ, ემებენ ისეთს მცენარეს, რომელშიაც მათრობელი ნივთიერება ურევია, იმითი გამოძღებიან და დათრობის ჟინს იკლავენ.

III

განსაკუთრებით ბატია ლოთობით ცნობილი. ბატები არასოდეს არ გაუშვებენ შემთხვევას, თუ გარემოება ხელს უწყობს, ლაზათიანად არ გამოთვრნენ. ერთხელ თუ იხმიეს სასმლის გემო და გაუტკბათ ლოთობა, შემდეგ მათი გადაჩვევა ისე ძნელია, როგორც დიდის ხნის ლოთისა.

იყო, მაგალითად, ასეთი შემთხვევა: დასაკლავი ბატები დაემწყვდიათ და სასმელ-საჭმელი ბლომად მიეცათ, უკანასკნელნი დღენი სიამოვნებაში გაატარონო. იქვე მეორე კუთხეში, სადაც ბატები დაემწყვდიათ, უშველებელი ბოჩკა არაყი თურმე იდგა. ბოჩკას ჰირთან ვედრა ედგა, რომ გაყიდვის დროს არც ერთი ცვარი არ დაქცეულიყო. ამ ვედრაში ყოველთვის ბლომად იდგა არაყი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ მშვენიერ დღეს ბატებს მომვლელ მოსამსახურეს და-ვიწყდა ბატებისთვის კარები მიეკეტა, რომ მეორე კუთხეში გასვლა არ შესძლებოდათ. ბატები გამოვიდნენ თურმე და აქა-იქ ეველაფრის ქექა დაიწყეს, თითქოს რევიზორები არიანო. უცბად კუთხეში არაეის ვედრას წააწყდნენ... ჩვენი რევიზორები რიგიანად გამოთვრნენ და აუწერელ ეოფაში ჩაცვინდნენ: ფეხებზე ძლივს იდგნენ, ძლივს დაბაჯბაჯებდნენ, გაჭქონდათ ეიეანი, სისინებდნენ, თვალებს აბრიალებდენ, ერთმანეთს ჭკბენდნენ. ბოლოს სულ გადაირივნენ, ახტნენ, ფრთაფრთას შემოჭკრეს და ევირილ-სისინით იქაურობა აიკლეს. ეოველივე ეს იმით გათავდა, რომ ბოლოს ეველანი დაკლულებივით მიწაზე გაწვნენ.

მეორე დილაზე ნაბახურევნი ისევ გონს მოვიდნენ და, ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ კარების მიხურვა, რომ ისევ ვედროსკენ გაემართნენ. აზრი მათი ცხადი იეო: ლოთებს უნდოდათ კიდევ გადაეკრათ არაეი, გადაჭკრეს კიდევაც და, ისეთსავე მდგომარეობაში ჩავარდნილნი როგორც წინა დღეს, კვლავ დაბრუნდნენ და დაკლულებივით მიწაზე გაიშლართნენ. ამ ეოფაში იევნენ ბატები 12—15 საათამდე. შემდეგ ცოფიანებივით წამოვარდნენ და, რომ შინაგანი წეურვილი, სასმელისაგან გამოწვეული, მოეკლათ, სვეს ბლომად წეალი დაჭელაპეს ქვიშა.

შხეფელი

(დასასრული იქნება)



ვირის თავგადასავალი

XXI პატარა ბაჩა ცხენი

(ფრანგულით)

ცი, კამილა, კადიშონი სხვა ნაირი რამ არის. დარწმუნებული ვარ, ეოველივე ჩვენი ლაპარაკი ესმის. მე დაუწყე ცქერა სიყვარულით და დავადე მხარზე თავი.

— საბუხარო, ჩემო კადიშონ, მითხრა მან, რომ შენ თან და თან აგრეთი ავგული ხდები, ჩვენ ისე აღარ გვეყვარები, ნეტავი წერა მაინც იცოდე, ბევრ რამეს მოგვითხრობდი, — მითხრა და გადმისვა ხელი თავსა და კისერზე. დღიური რომ სწერო, მგონი, ძალიან საგულისხმიერო იქნება.

ვენრიხ. საბრალო კამილა, რა სისულელეს ამბობ, როგორ გინდა, რომ ვირმა დღიური დასწეროს!

კამილა. კადიშონი სხვანაირი ვირია.

ვენრიხ. ყველა ვირი ვირია, ერთმანეთს მიაგვანან და ვირაოვე დარჩებიან.

კამილა. ვირიც არის და ვირიც!

ვენრიხ. როცა კაცი ჯიუტია, მაშინვე ვირს მიამგზავსებენ და იტყვიან, ვირივით ჯიუტია, ვირივით უგუნური და სულელია. მე რომ მითხრან, ვენრიხ, შენ ვირი ხარო, მე გავჯავრდებოდი, რადგან ეგ ლანძღვის ნიშანია.

კამილა მართალი ხარ, მაგრამ მაინც ვხედავ და ვგრძნობ, რომ კადიშონს ბევრი რამ ესმის, განსაკუთრებულის ჭკუისაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარვართ. ვირებს ცუდად ეპყრობიან, სასტიკად სჯიან, ამიტომ მაგათაც არ უყვართ თავიანთი პატრონები და კარგად არ ემსახურებიან.

ვენრიხ. მაშ, შენის ფიქრით, მაგან ჭკუა იხმარა, როცა ქურდები გამოაჩინა და რაც სხვა საოცრება ჩაიდინა?

კამილა. რასაკვირველია, ჭკუით მოქმედებდა. მაშ, რა გგონია, რისთვის დაჭერინა ქურდები?

ვენრიხ. იმისთვის, რომ იქ თავისი მეგობრები ეგულებოდა.

კამილა. ნასწავლი ვირის ოინები?

ვენრიხ. ეგ შურითა და ბოროტებით ჩაიდინა.

კამილა. ვირების დოღში გამარჯვება?

ვენრიხ. ეგ ვირის თავმოყვარეობით მოუვიდა.

კამილა. ცეცხლიდან რომ ჰოლინა დაიცვა?!

ვენრიხ. ეგ ინსტინკტია ანუ დაცვის გრძნობა.

კამილა. კარგი, ვენრიხ, გაჩუმდი, მოთმინებიდან ნუ გამოიყვან.

ვენრიხ. გარწმუნებ, მეც ძალიან მიყვარს კადიშონი, მხოლოდ მე მაგას უეურებ, როგორც ვირს და არა როგორც ვენიოსს, შენსავით. უნდა იცოდე, თუ ჭკუა და სიმტკიცე აქვს, დიდი ბოროტი და მოუსვენარიც არის.

კამილა. როგორ?..

ვენრიხ. ისე რომ, მასხარად აიგდო საწყალი სწავლული ვირი და იმისი პატრონი; იმ საბრალოებს ფული აღარ მოაგებინა, მერე ოგიუსტის შესახებ რამდენი რამ ჩაიდინა, ოგიუსტს ხომ მაგისთვის არა დაუშავებია-რა. პირუტყვებიც ეჯავრება, ჭკბენს და წიხლებს ესვრის.

კამილა. მაგაში კი მართალი ხარ, ვენრიხ, მხოლოდ იმითი ვამართლებ კადიშონს, არ ესმის, რომ ბოროტებს სჩადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემაწვილები მომშორდნენ და მარტო დავრჩი ძმისთანა ლაჰარაკით გაბრაზებული. ვგრძნობდი კარგად ვენრიხის სიმართლეს, მაგრამ არ ვტუდებოდი, რომ ბოროტი და ამპარტავანი ვიუავ.

ან. ამილახვარისა

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარცი

(ვაგნერიდან)

ზღვაში უზარმაზარი ვეშაპები სცხოვრობენ. ზოგიერთი მათგანი სიგრძით დიდი სახლის ოდენა იქნება და სისქით ოთახს არ დაუვარდება. იმავე ზღვაში ისეთი პატარა ცარცოვანი ცხოველები სცხოვრობენ, რომ უბრალო შეუიარაღებელ თვალით გარჩევა მათი მეტად ძნელი საქმეა. უფრო პაწაწინა, ოცჯერაც უფრო პაწაწინანი არიან იმ პატარა წინწკლებზე, რომელიც ხანდისხან შენს ფრჩხილებზე გამოჩნდება, მაგრამ, მაინც ეოველი მათგანი დამოუკიდებელი არსებაა. იგი იკვებება და სრულებით განმარტოვებით სცხოვრობს. მისი ნამცეცა ტანი ლოქორიას ან ლოკოკინას ტანს წააგავს და იმისავით პაწაწინა სადაფით არის აღჭურვილი. ამ სახლ-სადაფს რამდენიმე განოფილება აქვს და მთლად თეთრის კირისაგან შესდგება, რომელსაც ეს ცხოველი ზღვის წყალში ჭმოვობს. ამ სადაფში ცხრილივით მრავალი ნამცეცა ნაჩვრეტებია, რომელშიაც თავის პაწაწინა ფეხებსა და ისრებსა (щупальце) გამოჭეოფს ხოლმე. არა აქვს არც თვალი, არც ყურები, არც თითები. მათ მაგიერობას ფეხები და ბალნის ისრები უწევს. ამ ფეხებსა და ისრებს, როგორცა ვსთქვით, ნაჩვრეტებიდგან გამოჭეოფს ხოლმე და გარშემო აფათურებს, იქნება ჩემი საგბილო რამ მოვხვდესო. განსაკუთრებით უყვარს სხვა, მაზე უფრო პაწაწინა ცხოველები. თავის ფეხებისა და ისრების შემწეობით შეუძლიან ერთის ადგილიდგან მეორეზე გადაცოცება, თუმც, რასაკვირველია, ძალიან ნელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხნიერი ცარცოვანი ცხოველები ჭბადებენ მრავალ ბუსუსს გაზრდებს, ეს უკანასკნელნი-კი რამდენისამე ხნის შემდეგ სხვებს აჩენენ. ამ ნაირად მრავლდებიან მილიონობით. არავის, ადამიანსაც-კი არ ძალუძს მათი დათვლა.

ისინი ერთად, მრავალ ოჯახობით ცხოვრობენ და დროსაც თანხმობით ატარებენ. როდესაც ძველები იხოცებიან, მათ შემდეგ ცარიელი სადაფი—სახლები რჩება. ბევრი მათგანი ტუდება, ხოლო ზღვის წყალი ხელახლა აწებებს ერთმანეთზედ. ამნაირად, ცარცის მთელი ფენილი ჩნდება. რამდენსამე ასეთის ფენილისაგან ჯერ ჰატარა კუნძული ჩნდება, შემდეგ მთელი მთა.

ზღვის ნაპირად ბევრი ციცაბო კლდე და მთების ქედი მოიპოვება, რომელიც წმინდა, თეთრის ცარცისაგან შესდგება. ეგ კლდე-მთები დახოცილ ცარცოვან ცხოველთა ჰაჰაწინა სადაფი—სახლებია. ის ცარცი, რომლითაც მასწავლებელი საკლასო დაფაზე სწერს და ამოცანებს აკეთებს, სწორედ ამ მთებიდან გახლავთ მოტანილი. თუ ამ ცარცს ერთს ნაწილს ჩამოსტეხავ და გამადიდებელ შუშაში გასინჯავ, შეიძლება კიდევ შეამჩნიო ცხოველთა ასეთი სახლები; უმეტესი ნაწილი უკვე დამტვრეული და დაქცეულია, მაგრამ მათ შორისაც შეხვდებით ჯერ კიდევ მთლად შენახულ, ხელ-უხლებელ სახლებს.

ვეებერთელა, უსარმაზარ ვეშაპებს ჯერ არც ერთი, ჰატარა გორაკიც-კი არ აუშენებიათ, ჰატარა ცარცოვანმა ცხოველებმა-კი მთელი მთები აღმართეს. დიაღ, თვით ნამცეცა, ჰაწაწინა ცხოველებსაც-კი შეუძლიანთ რაიმე სასარგებლო, საფუძვლიანი საქმე გააკეთონ, თუ თანხმობითა და თავგანწირულებით მუშაობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილისაგან)

ვ (თმის საღებავი.) ს „ ა „ , ო

, ,ო,  ,ე,

,ცალ,  „ ო

***

მე-19 №-ში მოთავსებულ რებუსის ალნა:

სურამის ციხე ჭონქაძეს დაწერილია.

რედაქტორი **მ. ი. დემურია.** გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის.

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობ ს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა შეიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**